ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 268

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესთვის" (ს/ნ:404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესთვის" (ს/ნ:404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოაერობის 2020 წლის 24 სექტემბრის №20.1110.1366 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა №23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ბიემესთვის" (ს/ნ:404895716) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 10 660 (ათი ათას ექვსას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე